

მოსაზრება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაღალი სიზუსტის მექატრონული ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროსის, სტუ-ს საპატიო დოქტორის, პოლკოვნიკ გრიგორ (გოგი) კვარაცხელიას მიერ ეგვიპტის პირამიდების მშენებლობასთან დაკავშირებულ ჰიპოთეზაზე

ბატონი გოგი კვარაცხელია არის ფრიად საინტერესო პიროვნება, მრავალი გამოგონებისა და იდეის ავტორი, რომლის ნაშრომებმაც აღიარება მოიპოვეს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე მის საზღვრებს გარეთაც.

ამჟამად ბ-ნმა გოგიმ გვთხოვა ჩვენი მოსაზრება გამოგვეთქვა მის მიერ შემოთავაზებულ ახალ ჰიპოთეზაზე, რომელიც ეხება მსოფლიოში აღიარებული არქიტექტურული საოცრების, ეგვიპტის პირამიდების, კერძოდ ხეოფსის დიდი პირამიდის მშენებლობის ორგანიზაციის წარმართვას.

დღემდე არ არსებობს საბოლოოდ ჩამოყალიბებული მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ აღწევდნენ იმ დროს პირამიდების მშენებლობისას რამოდენიმე ტონიანი ქვის ბლოკების თითქმის 150 მეტრის სიმაღლეზე ატანას და ზუსტ დადებას ისე, რომ ბლოკებს შორის თხელი დანის პირიც კი არ გაივლის.

ბატონი გ. კვარაცხელიას მიერ შემოთავაზებული ჰიპოთეზა, პირამიდების მშენებლობის წარმოების ორგანიზაციისა ჩვენი აზრით არის უფრო სრულყოფილი, ვიდრე დღეს ჩვენს ხელთ არსებული მოსაზრებები ამ უნიკალური ძეგლის მშენებლობისა (იხ. ავტორისეული ნახაზები და მაკეტი). აქ პანდუსის პრინციპი, რომელიც იმ დროს ძალიან პოპულარული იყო, დიდი სიმძიმის მქონე ტვირთის ასატანად შერწყმულია ჰორიზონტალურად გადასადგილებელ სივრცესთან, რომელიც პირამიდის სიმაღლის მიხედვით იცვლება და უზრუნველყოფს პირამიდის ეტაპობრივ მშენებლობას. ანუ ეს საინჟინრო კონსტრუქციული გადაწყვეტილება და მშენებლობის პროცესი თავისთავად საინტერესო მიგნებად უნდა მივიჩნიოთ.

ამრიგად ვვარაუდობთ, რომ ნაშრომის მიმართ შეიძლება არსებობდეს კითხვები, რომელიც ალბათ მოითხოვს პროფესიულ ენაზე განმარტებას, რაც უფრო შეავსებს ამ საინტერესო ნაშრომს მისი შემდგომი მსვლელობისათვის.

გიორგი სალუქვაძე
საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
2021.15.01.